საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

06/02/2024

MIA 9 24 00356248

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-2954-8673e19a@askgov.ge

2024 წლის №341435 პასუხად გაცნობებთ, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მონიტორინგს გამოძიების დაწყებისთანავე, მიღებული შეტყობინებებისა და სისხლის სამართლის საქმეების ელექტრონულად შესწავლის გზით, ყოველდღიურ რეჟიმში, ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) (შემდგომში - საქსტატი) შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი სისტემის შესაქმნელად თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შედეგად მონაცემთა შეგროვება ეფუძნება ახალ ერთიან მეთოდოლოგიას.

მითითებული მემორანდუმის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს 20 თებერვლისა, საქსტატს მიაწოდონ წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი ანგარიშის გამოსაცემად საჭირო, მემორანდუმის დანართით განსაზღვრული, მონაცემები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო, თავის მხრივ, საქსტატი ვალდებულია, ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს წინა წლის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკური ანგარიში. სტატისტიკური მონაცემები ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომია სტატისტიკის ეროვნული

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

სამსახურის ვებგვერდზე - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika.

ასევე, დამატებით გაცნობებთ, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №1/271 ბრძანების თანახმად, სამინისტროს აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - info.police.ge (https://info.police.ge/page?id=115), სადაც შესაბამისი პერიოდულობით ქვეყნდება ზემოაღნიშნული მონაცემები.

ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა საქართველოს პროკურატურა. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად. შესაბამისად, ბრალდებულ/დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, მიზანშეწონილია მიმართოთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოძიების მიზნით - სასამართლოს.

პატივისცემით,

ქეთევან ტყეშელაშვილი
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი